



ზედამხედველობის სამსახურის

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი: მიხეილ შილაკაძე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის საფუძველზე შექმნილია 2019 წლის 29 ნოემბრიდან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წელს განხორციელდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგად ზედამხედველობის სამსახური ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა, რაც განპირობებულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ა) პუნქტის და მე-2 ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საკუთარი უფლებამოსილება, რომელიც არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „მ“ და „ნ“ პუნქტების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭება, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა, ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ხსენებულ მრავლისმომცველ საკუთარ უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით, ასევე საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მიღებამ, რომელიც მიღებული იქნა 20/07/2018 წელს მნიშვნელოვნად გაზარდა ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციური დატვირთვა, რამაც აგრეთვე განაპირობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ზედამხედველობის სამსახურის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება.

ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებია:

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) კონტროლს გარე იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე;

ბ) კონტროლს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, ხმაურის იზოლაციისა და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარიული ნორმების დაცვაზე;

გ) კონტროლს მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე;

დ) ზედამხედველობასა და კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვას;

ე) დადგენილი წესით არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შემოწმებას, მათი საქმიანობის შეჩერებას, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიან ან ნაწილობრივ დემონტაჟს;

ვ) „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელებას;

ზ) კონტროლს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვაზე, ქუჩებზე, მაგისტრალეებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა-გადაკეთებაზე, სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით გადაკეტვაზე ან ნაწილობრივ შეზღუდვაზე, ჭაბურღილების დაყენებაზე, შენობათა საძირკველის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაზე, სამშენებლო პოლიგონების ქვაბულებიდან მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრდენებზე გატანაზე და აღნიშნული სამუშაოების დადგენილი წესებით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე კონტროლს;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას;

ი) ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებას, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე ან <http://www.matsne.gov.ge> 00102602035113016403 დაზიანებაზე კონტროლს;

კ) ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებას;

ლ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“, „საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას.

მ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას და წარმოებას;

ნ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების, ადმინისტრაციულ საჩივრებისა და მიმართვების განხილვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ო) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, ამ დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების – განყოფილებებისაგან.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება;

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილება.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში:

1. ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მიერ მიმდინარე წელს შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. ექსპლუატაციაში მივიღეთ 60 ობიექტი.
2. 38 მშენებარე ობიექტს გაუგრძელდა მშენებლობის ნებართვის ვადა.
3. მოხდა 6 შენობის დემონტაჟი.
4. განხორციელდა 3 შენობის ლეგალიზება.
5. დაჯარიმდა 23 მშენებარე ობიექტი - ჯარომების საერთო რაოდენობამ შეადგინა 100 500 ლარი.
6. შედგენილი იქნა 14 ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა ოქმი, როგორც უმეთვალყუროდ მიტოვებული პირუტყვის, ასევე ასფალტის საფარის დაზიანებისათვის. ჯარმის საერთო რაოდენობამ შეადგინა 4 300 ლარი.

**ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
მიხეილ შილაკაძე**